A
8050

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

უდკ 902 /47.922/

მურაზ დავითის ძე ბრაგვაძე

# ძვ. წ. V–I საუკუნეების აღმოსავლეთ კოლხეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი

სპეციალობა: არქეოლოგია – 07.00.06

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებელი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი – 1992 წ.

ნაშრომი შესრულებულია აკად. შ. ამირანაშვილის
სახელობის საქართველოს რესპუბლიკის ხელოვნების მუზეუმში

სამეცნიერო ხელმძღვანელები:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მ. პ. ინაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ჯ. შ. ნადირაძე

ოფიციალური ოპონენტები:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ი. ნ. გაგოშიძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, გ. თ. კვირკველია

წამყვანი ორგანიზაცია – ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დაცვა შედგება 1992 წლის "2" "აპრილს" "13"
საათზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის
სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან არსებული
სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს დ 007. 13. 01 სხდომაზე
მისამართი: 380009, თბილისი, მელიქიშვილის ქ., 10.
დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში

ავტორეფერატი დაიგზავნა "  "______________ 1992 წ.

სპეციალიზებული საბჭოს
სწავლული მდივანი, ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი [signature] ვ. ჯანდარია

## ნაშრომის საერთო დახასიათება

<u>თემის აქტუალობა.</u> ძვ.წ. V-I სს-ების კოლხეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები არაერთხელ გამხდარა სპეციალისტთა კვლევის საგანი. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიული წარსულის პრობლემების ძიებას მიეძღვნა ექვსი საერთაშორისო სიმპოზიუმი, გამოქვეყნებულია მრავალი ნაშრომი, მაგრამ ერთიანი აზრი კოლხეთის პოლიტიკური და სოციალური წყობილების თაობაზე ჯერ კიდევ არ არსებობს. ვითარებას ართულებს ისიც, რომ ძველი ბერძნული წერილობითი წყაროების ცნობები კოლხეთის შესახებ, რიგ შემთხვევაში მითოლოგიური გადმოცემების სამოსელშია გახვეული, რაც საკმაოდ ართულებს მასში ასახული ისტორიული სინამდვილის დანახვა-დადგენას. ამასთანავე, ბერძენი ავტორები უმთავრესად კოლხეთის სანაპირო რეგიონების შესახებ გვაწვდიან ცნობებს, მათი ინტერესები ძირითადად შავიზღვისპირა ზოლით ამოიწურება. რაც შეეხება კოლხეთის აღმოსავლეთ ნაწილს, კლასიკური ხანის ბერძნული მწერლობა საერთოდ არაფერს გვეუბნება აქ მიმდინარე ისტორიული პროცესების შესახებ. ამდენად, ჩვენი ცოდნა მთლიანად არქეოლოგიურ ძეგლებზე გამოვლენილი მასალის კვლევა-ძიების შედეგებით შემოიფარგლება. ამიტომ აღმოსავლეთ კოლხეთის (ყვირილის ხეობის) ძვ.წ. V-I საუკუნეების არქეოლოგიურ კომპლექსებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ანტიკურ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოების კოლხეთისა და იბერიის (ქართლის) ისტორიის შესწავლის საქმეში.

აღმოსავლეთ კოლხეთი, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო მჭიდროდ უკავშირდებოდა როგორც კოლხეთის, ასევე ქართლის (იბერიის) სამეფოს, უძველესი დროიდანვე წარმოადგენდა აღმოსავლურ და დასავლურ ქართული კულტურების შეხვედრისა და შერწყმის არეალს. ამის გამო, ძვ.წ. V-I სს-ის მატერიალურ კულტურაში თავს იჩენს სხვადასხვა ქართველურ ტომთა